საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო

კონკურსი –
„კლასიკური მუსიკის კონცერტებისა და საბალეტო წარმოდგენების ხელშეწყობა თბილისსა და რეგიონებში “ –

საკონკურსო დებულება

მუხლი 1. კონკურსის მიზანი

კონკურსის „კლასიკური მუსიკის კონცერტებისა და საბალეტო წარმოდგენების ხელშეწყობა თბილისსა და რეგიონებში “ (შემდგომში – კონკურსი) მიზანია:

ა) კლასიკური მუსიკალური და საბალეტო ხელოვნების პოპულარიზაცია;

ბ) საქართველოს მუსიკოს–შემსრულებელთა და საშემსრულებლო ანსამბლების/საბალეტო დასების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;

გ) საშემსრულებლო და შემოქმედებითი ინიციატივების ხელშეწყობა და შემოქმედებითი პროცესების გააქტიურება;

დ) რეგიონებში კულტურის ხელმისაწვდომობა.

მუხლი 2. კონკურსის პირობები

1. საკონკურსოდ მიიღება პროექტები, რომლებიც კლასიკური მუსიკის კონცერტების ჩატარებასა და საბალეტო წარმოდგენების გამართვას უწყობს ხელს სხვადასხვა საჭირო ხარჯით.
2. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს (შემდგომ – კონკურსანტი).
3. ცალკეულ კონკურსანტს შეუძლია მხოლოდ ერთი საპროექტო განაცხადის წარმოდგენა.
4. საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა იყოს ქართულ ენაზე, ხოლო უცხოენოვანი დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში აუცილებელია ქართულენოვანი თარგმანი. ქართულ ენაზე თარგმნილი დოკუმენტები უნდა იყოს დამოწმებული სანოტარო წესით (გარდა ინგლისური, ფრანგული, გერმანული და რუსული ენებიდან თარგმანისა).
5. კონკურსში წარმოდგენილი საპროექტო/საკონკურსო განაცხადით გათვალისწინებული პროექტის/ღონისძიების (შემდგომში – პროექტი) დაწყების თარიღად განისაზღვრება არაუადრეს **2024 წლის 8 აპრილისა, ხოლო პროექტის დასრულების თარიღად – არაუგვიანეს 2024 წლის 1 ნოემბრისა** (განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა, მაგ. საშობაო/წინასაახალწლო კონცერტები, დასრულების თარიღად შესაძლებელია განისაზღვროს **არაუგვიანეს 15 დეკემბრისა).**
6. საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ (შემდგომ – სამინისტრო) კონკურსისათვის გამოყო **160 000 ლარი**. ამ ბიუჯეტით დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობასა და თითოეული პროექტისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობას განსაზღვრავს საკონკურსო კომისია.
7. კონკურსში შესაძლოა უპირატესობა მიენიჭოს პროექტს:

ა) რომლის წარმომდგენ პირს აქვს ფილარმონიული საქმიანობის ან კლასიკური მუსიკისა და საბალეტო პროექტების განხორციელების გამოცდილება;
ბ) რომელიც გამოირჩევა მრავალფეროვანი, საინტერესო პროგრამით და მონაწილეებით;
გ) რომელსაც აქვს თანადაფინანსება.

8. კონკურსში გამარჯვებულ პროექტებს გამოავლენს საკონკურსო კომისია.

9. კონკურსში გამარჯვებული პროექტების ავტორებთან გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებები და სხვა საკითხები.

მუხლი 3. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის წესი

1. კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
ა) **განცხადება** საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის სახელზე (შემდგომ – მინისტრი), მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის (დანართი №1) შესაბამისად;
ბ) **ინფორმაცია პროექტის შესახებ** მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის (დანართი №2) შესაბამისად, რომელსაც უნდა ერთოდეს:
ბ.ა) შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს/პირის წინასწარი თანხმობა/ნებართვა იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელებისთვის აუცილებელია რაიმე ტიპის ნებართვა;
ბ.ბ) ინფორმაცია პარტნიორების ფინანსური ან სხვა ტიპის თანამონაწილეობის შესახებ და თანამონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში);
ბ.გ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან კონკურსანტის შესახებ და ბანკის მიერ გაცემული დოკუმენტი ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტების მითითებით (გარდა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი ორგანიზაციებისა);
ბ.დ) ინფორმაცია კონკურსანტის მიერ მსგავსი პროექტების განხორციელების ან/და მსგავს პროექტებში მონაწილეობის შესახებ.
2. კონკურსანტი უფლებამოსილია, შეცვალოს წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი ან/და დამატებით წარმოადგინოს დოკუმენტაცია მხოლოდ საპროექტო/საკონკურსო განაცხადების მიღების ვადის გასვლამდე.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენისას ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში კონკურსანტს მის აღმოსაფხვრელად განესაზღვრება ორი სამუშაო დღე. თუ ხარვეზი არ გამოსწორდა, წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ განიხილება.

მუხლი 4. შერჩევის კრიტერიუმები

1. სამინისტროში საკონკურსოდ რეგისტრირებულ პროექტებს განიხილავს და შეაფასებს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო კომისია.

2. მოწონებულ პროექტებს საკონკურსო კომისია გამოავლენს შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე (მაქსიმალური შეფასება 30 ქულა):

N	შეფასების კრიტერიუმი	ქულა

1	პროექტის შესაბამისობა კონკურსის მიზანსა და სამინისტროს მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებთან	0-10
2	პროექტის მოსალოდნელი შედეგის შეფასება	0-5
3	ბიუჯეტის შესაბამისობა პროექტის მიზანთან	0-5
4	შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება	0-5
5	პარტნიორების ფინანსური ან სხვა ტიპის თანამონაწილეობა[1]	0-5
სულ		**30**

3. პროექტების შეფასების შედეგად საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას:
ა) პროექტის სრულად დაფინანსების შესახებ;
ბ) პროექტის სამინისტროდან მოთხოვნილი თანხით ნაწილობრივ დაფინანსების შესახებ;
გ) პროექტის დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ;
დ) პროექტის კორექტირების შესახებ.

4. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს იმ პროექტის დაფინანსების შესახებ, რომელიც ქულათა მეტ რაოდენობას დააგროვებს. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს პირველი და მე-2 კრიტერიუმების მიხედვით.

5. პროექტის ნაწილობრივი დაფინანსების შემთხვევაში საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, კონკურსანტს მოსთხოვოს საკონკურსო კომისიის მიერ განსაზღვრული დაფინანსების ფარგლებში პროექტის შესახებ დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენა ორი სამუშაო დღის განმავლობაში. ამ ვადის დაუცველობის, ან ამ ვადაში დოკუმენტაციის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში კონკურსანტი კონკურსიდან მოიხსნება. ამ მიზეზით კონკურსიდან მოხსნის შესახებ კონკურსანტს აცნობებს საკონკურსო კომისიის მდივანი.

6. საკონკურსო კომისიის წევრები ვალდებულნი არიან დაიცვან კონფიდენციალურობა და არ გაამჟღავნონ კონკურსის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მუშაობის შედეგების ოფიციალურ გამოქვეყნებამდე.

7. დასაფინანსებელი პროექტის/პროექტების განსაზღვრისა და შესაბამისი ფინანსური ხელშეწყობის თაობაზე ბრძანების გამოცემიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში კონკურსში გამარჯვებული პროექტის განმახორციელებელ პირთან გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

8. დაფინანსებული პროექტის წარმატებით განხორციელების მიზნით წინასწარი ანგარიშსწორება დასაშვებია პროექტის განმახორციელებელი პირის მოთხოვნით შემდეგი პირობებით:
ა) საბანკო/სადაზღვევო გარანტიის გარეშე, პროექტის ღირებულების არაუმეტეს 25%-ის ოდენობით;
ბ) საბანკო/სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის ვალდებულებით, პროექტის ღირებულების არაუმეტეს 90%-ის ოდენობით.

მუხლი 5. კონკურსის ვადები

[1] თუ პროექტი პროგრამის ფარგლებში სრულად ფინანსდება, პროექტის შეფასების მაქსიმალური ქულაა 25.

1. საკონკურსო განაცხადები მიიღება 2024 წლის **7 მარტიდან 2024 წლის 18 მარტის 12:00 საათამდე სამინისტროში,** მისამართზე: თბილისი, სანაპიროს ქ. №4 ნაბეჭდი სახით, ან სამინისტროს ოფიციალური ელექტრონული ფოსტით – info@culture.gov.ge ელექტრონული დოკუმენტის სახით. კონსულტაციების მიღება შეიძლება სამინისტროს ცხელი ხაზის მეშვეობით, ტელ.: №032 2 022229 ან №599 79 10 18, სამუშაო საათების განმავლობაში.
2. ინფორმაცია კონკურსში გამარჯვებული პროექტების შესახებ გამოქვეყნდება სამინისტროს ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე **არაუგვიანეს 2024 წლის 28 მარტისა.**
3. კონკურსის დამთავრების შემდეგ საკონკურსო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია კონკურსანტს უკან არ დაუბრუნდება.

შენიშვნა: საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 3 ივნისის N7864 ბრძანება „საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ კულტურის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების/პროექტების ხელშეწყობის პირობებისა და დაფინანსების წესის შესახებ“ და ფორმულარები იხილეთ ბმულებზე:

დაფინანსების წესი

ფორმულარები